

ბრძანება:**ბ01.01211172**
თარიღი:**27/04/2021**
პინი:**4795**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, ც. დადიანის ქუჩა N33; ქალაქი თბილისი, ზაქრაძის ქუჩა N32; ქალაქი თბილისი, ზაქრაძის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.02.001.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01211112839-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ც. დადიანის ქუჩა N33; ქალაქი თბილისი, ზაქრაძის ქუჩა N32; ქალაქი თბილისი, ზაქრაძის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.02.001.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01211112839-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31114840722121

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210329466

რეგისტრაციის თარიღი

07.04.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის შვიდ აპრილს მე, ნოტარიუს თამარ ონიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. №97, მომმართა შპს " ეკო გრუპი "-ს (ს/ნ 405365714) დირექტორმა დავით ბიძინაშვილმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გიორგი გამყრელიძეს. მე დავადგინე დავით ბიძინაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი მართვის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით ბიძინაშვილმა (დაბადებული 16.02.1993წელს, თბილისში, მის: თბილისი ჯავის I შეს. N 11, ბარათის № 11ID99165, პირადი № 01019032019, გაცემული: 25.06.2012წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე შევამოწმე შპს " ეკო გრუპი "-ს (ს/ნ 405365714) დირექტორის დავით ბიძინაშვილის უფლებამოსილება ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 19.03.2021წელს, რეგისტრირებული 22.11.2019 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 405365714, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა.
მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის შვიდ აპრილს , შპს " ეკო გრუპი "-ს (ს/ნ 405365714) დირექტორმა დავით ბიძინაშვილმა შემდგომში „მინდობილობის გამცემი“
გიორგი გამყრელიძეს (დაბადებული 27.10.1994 წელს თბილისში, მისამართი: თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3, ბარათის № 17IC79182, პირადი № 01017041896, გაცემული 08.01.2018 წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:
მინდობილი პირი უფლებამოსილია აწარმოოს **ქ.თბილისი, ჭუჩა ც.დადიანი, №33; ქალაქი თბილისი, ჭუჩა ზაქრაძე, №32; ქალაქი თბილისი, ჭუჩა ზაქრაძე, №30; ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანი, №35 ს.კ 01.16.02.001.007** დაკავშირებით ნებისმიერი ნებართვის მოთხოვნა/მიღება/ პროექტირებასთან დაკავშირებული საქმეები; აღნიშნულთან დაკავშირებით იგი უფლებამოსილია იყოს შპს " ეკო გრუპი "-ს (ს/ნ 405365714) დირექტორის ბიძინაშვილის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მერიაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ნებისმიერ კომუნალური მომსახურების სამსახურში/კომპანიაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, დააზუსტოს ფართები, შეიტანოს ცვლილებები სარეგისტრაციო მონაცემებში, შეათანხმოს მშენებლობის პროექტი, აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დაშენება, გადახურვა, დემონტაჟი, ღიობების ამოჭრა და სხვა) და შემდგომში მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერები, ინფორმაციები, წარადგინოს დოკუმენტები ელექტრონულად, მოითხოვოს და მიიღოს შპს " ეკო გრუპი "-სთვის (ს/ნ 405365714) საჭირო ნებისმიერი ცნობა/მოწმობა/დოკუმენტი (მათ შორის განმეორებითი), ნებართვა, გადაწყვეტილება, გადაიხადოს კანონით დადგენილი ბაჟი, მოსაკრებლები და განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია 6 თვის ვადით და ძალაშია 2021 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა მუხლი №31, პუნქტი 7) 10.00 ლარი და 39 მუხლის I პუნქტისა 2.00 ლარი.

დავით ბიძინაშვილი

ნოტარიუსი

---------- (თამარ ონიანი)